თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 1 ოქტომბერი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2.ბიძინა ბუცხრიკიძე, 3.კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. თემური ქოჩიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ივანე ჩუბინიძე, 2. როლანდი მესხი, 3. მერაბი ბასილაძე, 4. ფრიდონ გვენეტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გამოაცხადოს პირობიანი ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ^2 მიწის ნაკვეთის (ს/კ №33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე-3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28252727 წერილი, 29.09.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.29250643 განკარგულ;ებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-2825273113 წერილი, 30.09.2025 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გამოაცხადოს პირობიანი ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ^2 მიწის ნაკვეთის (ს/კ №33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე-3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით) განკარგულების პროექტი - მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის საფასური ერთი წლის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღროს 2400 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გამოაცხადოს პირობიანი ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ^2 მიწის ნაკვეთის (ს/კ №33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე-3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.29250643 განკარგულ;ებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას ემატება ქ. თერჯოლაში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის შესყიდვის სურვილი გამოთქვა მოქ. ი.ჯ-მ, შემდგომში მასზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. აღნიშნული მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზაციო საფასურად სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განისაზღრა 35600 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.29250643 განკარგულ;ებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის თავ მჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე